№ 29 7 თებერვალი, ხუთშაბათი 1866—1880 7 თებერვალი, ხუთშაბათი. № 29

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

„დროება“–„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს; | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად . . | 13 მან. . . | 7 მან. . | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ . . . . . | 9 მან. . . | 5 მან. . | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ . . . . . . | 6 მან. . . | 4 მან. . | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

[illegible] ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქუთაისის საადგილ-მამულო
## ბანქისაგან

**გამგეობა მიხაილის საამხანაგო საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში** ამით აცხადებს, რომ ფინანსის მინისტრის ამხანაგის ნება-დართვით, ალნიშნული **ბანკი ამას იქით დაიგირავებს ტფილისის გუბერნიაშიაც ქალაქის და სოფლის უძრავ მამულებს.**

ვინც ისურვებს შეიტყოს ხსენებულის ბანკიდამ სესხის გამოტანის პირობები, შეუძლიან ეს ცნობები მიიღოს ქ. ქუთაისში ბანკის გამგეობაში, ხოლო ქ. ტფილისში ტფილისის ნოტარიუსის ი. ე. პოლტორაცკისაგან.

(3—3)

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 6 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გუშინ, 5 თებერვალს, საღამოს მეშვიდე საათზე ხელმწიფე იმპერატორის საზამთრო სასახლეში, ქვემოეტაჟა სადაც სასახლის ყარაული დგას, ღადღუმით ააფეთქეს. რვა კაცი მოკლულია და ორმოც-და-ხუთი ფინლანდიის გვარდიის პოლკის სალდათები; საყარაულო ოთახებში იატაკი და გაზის გასაყვანი მილები გაფუჭებულია. ამ აფეთქების მიზეზის გამოსაკვლევლად გამოძიება არის დანიშნული.

**პეტერბურღი**, 5 თებერვალს. ელჩი საბუროვი 3-ს თებერვალს მოვიდა პეტერბურღში.

**ვენა**, 5 თებერვალს. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ კონრადი - სახალხო განათლების მინისტრად ინიშნება, კრიგსაუ—სარწმუნოებისა და ისტრემაირი—ფინანსისა.

**პარიჟი**, 5 თებერვალს. სამინისტროს თავსმჯდომარე ფრეისინე მალე გამოაცხადებს დოკუმენტებს საბერძნეთისა და ოსმალეთ შუა ახალი საზღვრების შესახებ და აგრეთვე რუმინიის ებრაელების განთავისუფლების თაობაზედ.

**პეტერბურღი**, 5 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში“ სწერია, რომ იუსტიციის მინისტრმა ნაბოკოვმა გუშინ დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება.

**ირკუტსკი**, 4 თებერვალს. ჩინგ-ხოუ, რომელიც ადრე ჩინეთის ელჩად იყო პეტერბურღში, ჩინეთის იმპერატორის (ბოღდიხანის) ბრძანებით, სამართალში მისცეს და ამასთანავე იმას ჩამოართვეს ყოველი ღირსება.

ირკუტსკში საშინელი სიძვირეა: ფუთი შავი ფქვილი ჩვიდმეტ აბაზათ იყიდება. ქალაქის ახლო-მახლო დიფტერიტია გავრცელებული. ქალაქის რჩევის ხმოსანები შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ არაყის სახდელი ქარხნები დახურონ და გაჭირებულ ხალხისათვის ფქვილი ასესხონ ქალაქს.

**პეტერბურღის ბირჟა**, 6 თებერვალს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 93 | 50 |
| მეორესი — — — — — | 93 | „ |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 91 | „ |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 12 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 36 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— — | 7 | 59 |
| ტფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 228 | 25 |
| მეორე სესხის — — — | 227 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 26 | „ | პენსი |
| ჰამბურღი — — | 221 | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 272 | „ | სანტიმი |
| ვენა — — — | „ | „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

თფილისი, 6 თებერვალს.

რომ ქართველი არ ვიყო, დიდი მოყვარული და პატივის-მცემელი ვიქნებოდი საქართველოს სომხობის! საქართველოს გარეთ დღესაც კი მოშორნან ისინი, რადგანაც არ შეიძლიან, რომ მათი ღირსება არ დააფასო:

იმათ ესმისთ, თუ რა არის მამულის-შვილობა და არ ივიწყებენ თავის გვარ-ტომობას. ძვირათ შეხვდებით მისთანა სომეხს, რომელიც გულგრილობდეს და, შეძლებისა-და-გვარად, შემწეობას არ აძლევდეს თავის საზოგადო საქმეს. სხვები რომ არა ვახსენოთ ისიც კმარა, რომ „არარატის“ საზოგადოებას წელიწადში ათას თუმნობით შედის შესაწევარი... ყველგან შკოლები და შკოლები! ასე გასინჯეთ, რომ ის ქართველები, რომელთაც მხოლოდ რჯული აქვსთ სომხის, თორემ ისე კი რამდენიმე საუკუნოების განმავალობაში წმინდა ქართველები არიან, მაგალითად ბორელები, ჩხარელები, ონელები, საჩხერლები და სხვანი, დღეს შეუდგნენ ენის სწავლასა და განსაკუთრებით ხასიათების შეჩვევას. დიდ სირცხვილათ მიაჩნიათ დედა-ენის დავიწყება. სწავლობენ... ცდილობენ და შემწეობაც საზოგადო აქვსთ, ერთმანეთს ხელს უმართვენ და ყველანი ერთად წარმატებაში შედიან...

ჩვენ ქართველები, კი გადაქსუვებული ვართ. საქმით მიგვაჩნია ჩვენივე თავის დაუფასებლობა და ჩვენს თავს ჩვენვე დავსცინით, არა თუ რამეს ვაკეთებთ.

რამდენს გვარისშვილს შევხვდებით, რომ დედა-ენა აღარ იცოდეს, თითქო

## ფელტონი

—

### სამეცნიერო საუბარი

რათ მოიყარა დიდძალმა ხალხმა თავი პარიჟის ექიმთა სასწავლებელში? კრუკსი და იმისი ლექცია.—ყინული, წყალი და ორთქლი.—მაგარი, წყალ-გვარი, ჰაერგვარი და „სხივოსანი“ ნივთიერება. — ბევრს ნაკლები მალა აქვს, ცოტას მეტი.

—

შაბათს, ამ წლის 5-ს იანვარს, პარიჟის ექიმთა სასწავლებლის დიდს ზალაში დიდ-ძალი ხალხი იყო თავმოყრილი. მრავალი მსურველი დაბრუნდა უკან დაღონებული ალაგის უქონელობის გამო. იქ იმ დღეს გამოჩენილი ინგლისის ფიზიკოსი კრუკსი (Crovkes), მიწვეული პარიჟში ფრანცუზთა მეცნიერთან, ჰკითხულობდა ლექციას ნივთიერების მეოთხე გვარს მდგომარეობაზედ, ანუ „**სხივოსან ნივთიერებაზედ**“, რომელიც თვითონვე აღმოაჩინა ამ უკანასკნელს დროს.

რაც კი ქვეყანაზედ სწავლა შემოიღეს, ყოველს მოსწავლეს ჩასჩიჩინებენ, რომ სხეულის ანუ ნივთიერების წარმოდგენა მხოლოდ სამს მდგომარეობაში შეიძლებაო. ეს სამი მდგომარეობა არის: მაგარი, წყალ-გვარით და ჰაერგვარიო.

ვინც კი სასწავლებელში სადმე ვყოფილვართ, ყველას გვახსოვს, რომ მაგარს ნივთიერებას თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი ფორმა; წყალ-გვარს, ანუ წვენეულს ის სახე და ის ფორმა აქვს, როგორის სახისა და ფორმისაც არის ჭურჭელი, რომელშიაც ისა სდგას. ჰაერ-გვარს ანუ გაზს კი არავითარი ფორმა არა აქვს და თუ ის იმისთანა ჭურჭელში არ არის მომწყვდეული, რომელიც ყოველის მხრიდან შეუვალია, იმისი ერთს ალაგს შემაგრება შეუძლებელია.

ყველას გვახსოვს, ვინც კი სასწავლებელში ვყოფილვართ, რომ მასწავლებელს ამ სამ-გვარის მდგომარეობის ასახსნელად და იმის დასამტკიცებლად, რომ ერთი და იგივე ნივთიერება შეიძლება მაგარიც იყოს, წყალ-გვარიც და ჰაერ-გვარიც, მიუთითებია წყალზედ.

მართლაც ამაზედ უკეთესს და თვალსაჩინო მაგალითს ამის ასახსნელად კაცი ვერ წარმოიდგენს. წყალი ხომ თითონ წყალ-გვარია, მაგარი, ანუ გაყინული წყალი—ყინულია და წყლის ორთქლი კიდევ ნივთიერების მესამე მდგომარეობას, ჰაერ-გვარს წარმოადგენს.

კიდეც იმიტომ იყრიდა იმოდენა ხალხი თავს პარიჟში, 5-ს იანვარს, რომ კრუკსი აპირობდა ამ ყველას გონებაში ჩაბეჭდილი მეცნიერების კანონის დარღვევას, რომელიც ამბობს, რომ კაცს ნივთიერების წარმოდგენა მხოლოდ სამს მდგომარეობაში შეუძლიანო: ის მტკიცებდა რომ არის კიდევ მეოთხე მდგომარეობა, რომელიც ისე განსხვავდება ჰაერ-გვარის მდგომარეობიდან, როგორც ჰაერ-გვარი მდგომარეობა წყალ-გვარისაგანაო.

ჰაერს თუმცა თვალით ვერა ვხედავთ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის სხეულია და ისრე რიგათვე არის შემდგარი ჰაერის წვრილი ნაწილებისაგან, როგორც მაგალითათ ქვა [illegible]ქვის წვრილი ნაწილებისაგან. ჰაერის ნაწილები ისე ახლო-ახლო არიან ერთმანერთზედ, რომ ერთმანერთს მოძრაობას უშლიან და ერთმანერთთან შეჯახებაში ეხარჯებათ ის ძალა, რომელსაც შეეძლო სხვაფრივ ეჩინა თავი. მაგრამ თუ ჰაერს მოვამწყდევთ მტკიცედ შემოზღუდულს მინის ჭურჭელში და მომატებულს ნაწილს ამ ჰაერისას გარეთ გამოვწოვთ ერთგვარის მაშინით, ისე რომ ჰაერი გარეთ კი გამოვიდეს და უკან დაბრუნება კი ველარ შეიძლოს, მაშინ შიგ მომწყვდეული ჰაერი შეთხელდება, იმისი ნაწილები დაიწყებენ უფრო თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარცხვინო იყოს და ან ვინმე გვიშლიდეს!...

ვიმეორებ სომეხი რომ ვიყო, ვეცდებოდი და მიამებოდა, რომ ყოველი სომეხი გამდიდრებული, და ამაღლებული მენახა, რადგანაც მეცოდინებოდა, რომ ის თავის დიდ-კაცობითა და სიმდიდრით საზოგადო საქმეს შეეწევა...

მაგრამ ქართველი რომ ვარ, არაფრათ მეჭაშნიკება ქართველის გაბედნიერება. და ეს განა ჩემი ბრალია?! ვიცი, რომ გაკეთებული, გამდიდრებული ქართველი, არა თუ არას არგებს სამშობლოს, კიდეც აზარალებს! აბა, მიჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ მდიდარ ქართველს რამე სასახელო საქმე ექნას?!

ჩვენ, რაც რამ საზოგადო საქმეა, სულ ღარიბ-ღატაკების შრომითა და შემწეობით გაკეთებულა და კეთდება.

მაშ რაღა დასაძრახისია, რომ ჩვენ მდიდრებისკენ გული არ გვიწევდეს. იმათ ნება არა აქვსთ, რომ ჩვენგან რამე პატივის-ცემა მოითხოვონ. და ჩვენ კი ვალდებული ვართ, რომ იმათი სახელი და საქმე გავჩხრიკოთ ისინი მათივე ადამიანობს სარკეში ჩავახედოთ. ვისაც შეძლება აქვს და ქვეყანას კი არ არგია, იმას ქვეყანაც უნდა ღირსეულად აფასებდეს და არ ერიდებოდეს...

ჯაკი.

## ახალი ამბები

—

დღეს, ხუთშაბათს, თფ. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განხილვა ვაჭრის აკოფოვის საქმისა, რომელსაც აბრალებენ ახალ-გაზდა პრიკასჩიკის პოლოზ მათეზოვის „ძალდატანობასა“ და მოკვლას ნორაშნის ქუჩაზე. ვაჭარი ალასი ალავერდოვი კი ამ საქმეში მხოლოთ მოწმად არის დაბარებული.

***

ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ იქაურ ქალაქის რჩევას გარდაუწყვეტია, რომ დამშეულ ხალხის დასახმარებლად დანიშნოს კომისია, რომელსაც მისცეს უფლება, რომ ქალაქის ხაზინიდამ 50,000 მანეთი დახარჯოს, იმ პირობით, რომ ამ ფულით იყიდოს ფქვილი და როგორც დაუჯდებათ იმ ფასად მიჰყიდონ ღარიბ ხალხს.

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ გასულ იანვრის 31-ს იქაურ ბაზარში ოთხი ქურდი დასცემია თავს ერთს მეფურნეს, ჯერ პურები წაურთმევიათ და მერე დახლიდამ ფული ამოუცლიათ; ამ დროს მოშველებია პოლიცია, ყველა ავაზაკები დაუჭირავთ, მაგრამ ერთი იმათგანი გზაზე გაქცევიათ, როცა პოლიციაში მიჰყავდათ.

***

„თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ ლეჩხუმისაკენ ისეთი თოვლი მოვიდაო, რომ გზები ქუთაისსა და ლეჩხუმს შუა სრულიად შეკრულიაო და ეს ორი კვირა გადის, რაც ეს მხარე მოწყვეტილია მთელს ქვეყნიერებასაო.

***

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზების შესახებ:

„1879 წლის დამლევს დამტკიცდა წესდება „კავკასიის აქეთა-მხრის რკინის გზის საზოგადოებისა.“ ამ წესდებით ეს გზები ოთხ ნაწილად იყოფიან: 1) ფოთის, ფოთიდამ თფილისამდინ — 289 ვერსი მანძილი; 2) ბაქოსი, თფილისიდამ ბაქომდინ — 520 ვერსი; 3) ქუთაისის, რიონის სტანციიდამ ქ. ქუთაისამდინ — 7 ვერსი და 4) ნავთის, ბაქოდამ საბუნჩამდინ, სურახანამდინ და ნავთის წყაროებამდინ — 25 ვერსი. სულ 842 ვერსი.

ამავე საზოგადოებას მინდობილი ექნება რკინის გზის გაყვანა აგრეთვე სპარსეთის სამზღვრამდინ, ჯულფისაკენ, როდესაც მმართებლობა საჭიროდ დაინახავს.

„ბაქო-თფილისის რკინის გზა, პირობის ძალით, საზოგადოებამ უეჭველად სამი წლისა და ნახევრის განმავალობაში სრულად უნდა დაამზადოს პირობის დამტკიცების დღიდამ, ე. ი. 1883 წლის აპრილისათვის.“

***

ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი № აქაური ყოველ-თვიური სომხური ჟურნალი „ფორცი“, რომლის რედაქტორი უფ. აბგ. იონესიანია. შინაარსი ამ წიგნისა:

1) მოკლე მიმოხილვა სომხურ ისტორიულ ლიტერატურისა, პროფ. პატკანოვისა. 2) მე ვიყავი დანიშნული, მოთხრობა მ. ვაღლჩიანისა. 3) სტეფანე ნაზარიანცი და იმის ლიტერატურული მოღვაწეობა, ა. ერიციანცისა. 4) შთაბეჭდილებათა გავლენა კაცის ჯანმთელობაზედ, ა. ბაბაიანისა. 5) ავლანის დაპყრობა ინგლისელებისაგან. 6) მგზავრის შთაბეჭდილებანი, სიულუკისა. 7) ა. დ. მორდმანი, ა—მ-ისა. 8) მოწვევა. 9) „განათლების მოყვარე ალმოსავლეთ საზოგადოების“ სასარგებლოდ შემწირველთა სია. 10) სომხების ისტორიული თხზულებანი — პროფ. პატკანიანისა.

***

გუშინ დილით, 5 თებერვალს, ერთი მაუდის ვაჭარი სომეხი უფ. ხერუმოვი გადავარდნილა მტკვარში და დამღრჩვალა. მიზეზი — თუ რისთვის გაიმეტა თავი, ჯერ არ იციან.

მეორე თავის-მკვლელობა კიდევ 2 თებერვალს მოხდა თფილისში: ერთმა ახალგაზდა აფიცერმა, გვარად ბარონ კორფმა რევოლვერი იკრა საფეთქელში და მოიკლა თავი. მიზეზს ამბობენ მძიმე ავათმყოფობას.

***

ქუთაისიდამ გვაცნობებენ, რომ ამ თვის 3-ს იქ უკურთხებიათ და გაუხსნიათ საეზნაურო შკოლა, რომლისთვისაც, როგორც მოგეხსენებათ იქაურ სადგილ-მამულო ბანკის მონაწილეთა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ, ამ ბანკის წმინდა შემოსავლიდამ, რვა ათასი მანეთი გადასდვა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ნუხი, 4 თებერვალს. გაზეთს „კავკაზში“ წავიკითხეთ, ვითომც ჩვენ ნუხში ფქვილი თორმეტ აბაზათ იყიდებოდეს. ამ გვარი სიიაფე „მშაკის“ კორრესპონდენტის გავრცელებული ხმები არის და თუ სიზმარში ნახა, არ ვიცი, თორემ აქ ამ გვარი სიიაფე არ არის. თუ გნებავთ ნამდვილი შეიტყოთ, ნუხში ისყიდება მეორე ხარისხის პური 3 მან. 20 კაპ., ხოლო იმ ფქვილისა, რომელიც რუსეთიდამ გამოიწერეს საშინელი მწარე 2 მან. და 81 კაპ.; თითო კვერცხი 3 კაპ. და რაიცა შეეხება დანაშთენს ხორაგეულობას, ენა ვერ გამოსთქვამს.

ხალხის მდგომარეობა და ცხოვრება არ არის სანატრელი: შიმშილი ძალიან აწუხებთ. თუმცა ძრიელ საწყალ-ხალხს ურიგდება ფქვილი, მაგრამ რას უზამს გაჭირებულ კაცს ორი და სამი ფუთი, განსაკუთრებით ისეთ ოჯახს, სადაც რამდენიმე სული არის?

ამ სიცივემ და საშინელმა ზამთარმა ხომ ისე გაგვიჭირა საქმე, რომ აღარ ითქმის. 28 და 29 იანვრისას ცოტა სითბო დადგა, თოვლს ადნობდა, ვთქვით: ეხლა კი ღმერთმა გვიშველა, სითბო დაგვიდგება მხალი და ჭინჭარი ამოჰყოფს თავს და მითი მაინც წავალთ იოლათაო. მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდით: 30 იანვარს დაუბერა ჩრდილოეთის ნიავმა, შეიმოსა ღრუბლით ხან-იალალი (მთას უწოდებენ, რომლის ძირშიაც ნუხი მდე-

---

სუფლათ მოძრაობას და თავიანთს ძალას ერთმანერთთან შეჯახებაში აღარ დალევენ.

სწორეთ ასე მოიქცა ზემოთ-ხსენებული ინგლისის ფიზიკოსი კრუკსი. იმან შეათხელა მინის ჭურჭელში მომწყვდეული ჰაერი განგებ ამისთვის მოგონილი მაშინებით, შეათხელა ისე რომ რაც უწინ ჭურჭელში ჰაერი იყო, იმისი მემილიონედი ნაწილიღა დარჩა.

ამ შეთხელებულმა ჰაერმა ისეთი ძალა გამოიჩინა, რომ სწორეთ დაუჯერებელია, თუ კაცმა თავის თვალითვე არა ნახა.

წარმოიდგინეთ რომ ქუჩაში ხალხს ბლომათა აქვს თავი მოყრილი, ასე რომ მოძრაობა გამონელებულია და კაცი ათი ნაბიჯის გავლას ერთი საათი უნდება. ამოდენა ხალხის ერთად თავის მოყრის გამო კაცს თითქო ხელფეხი შებოკილებული აქვს და თავის ძალას ვერ იჩენს; მაგრამ ხალხი დაიშალა, მაშინ ყოველს მათგანს უფრო მომეტებული მოძრაობის სახსარი ეძლევა და უფრო მომეტებულს ძალასაც იჩენს.

სწორეთ ამ გვარივე საქმე ემართებათ ჰაერის ნაწილებსაც. ვიდრე ჰაერი ბლომათ არის მტკიცეთ შემოზღუდულს ჭურჭელში მის ნაწილებს დიდი მოძრაობა არა აქვსთ; და როდესაც კი ეს ჰაერი ძალზედ შეთხელდება, მაშინ იმისი ნაწილები სულ სხვა სიჩქარით იწყებენ მოძრაობას და ზოგის ისეთის მოვლინების მიზეზნი ხდებიან, რომ ამ გვარს მდგომარეობას სხეულისას კრუკსმა მეოთხე გვარი მდგომარეობა უწოდა და ესე შეთხელებულს ჰაერს ჰაერ-გვარის ნივთიერებისაგან განსარჩეველად დაარქვა სხივოსანი ნივთიერება.

ბევრი იკითხავს რა უფლება ჰქონდა კრუკსო, რომ ამ ნივთიერებას სხვა სახელი დასდო და არა ჰაერგვარიო? განა შეთხელებული ჰაერი ისევ ის ჰაერი არ არისო?

ზემოთაცა ვსთქვი, რომ შეთხელებულს ჰაერში ზოგიერთი ისეთი მოვლინება მოხდება, რომ შეუთხელებელში ჯერ არავის არ შეუმჩნევია და ზოგიერთს ამისთანა მაგალითებს აქვე მოვიყვან. ეს მოვლინებანი კრუკსმა პარიჟში თვალით უჩვენა თავის მსმენელებს, მაგრამ ჩვენ რაკი თვალით დანახვას მოკლებულნი ვართ, ყურით მაინც გავიგონოთ.

კრუკსი ამ საგნის ასახსნელად ხმარობდა მინის ჭურჭელს, რომელშიაც ელექტრიული მაშინის ორივე მავთული გაყვანილია. თუ ამ ჭურჭელში ჰაერი შეთხელებული არ არის, მაშინ ელექტრიული ძალის დენის დროს ერთის მავთულიდან მეორეზედ ნაპერწკლები ცვივიან და თუ ეს მავთულები ერთმანერთს დაუახლოვეთ ნაპერწკლების მაგიერათ ელექტრიულს მბჟუტავს ნათელს დავინახავთ.

ამ ჭურჭელში შეათხელა კრუკსმა ჰაერი და ისე დააწყებინა ელექტრიულს ძალას დენა. ნათელი მართალია გამოჩნდა, მაგრამ ამ ნათელს წინ სიბნელე მიუძღოდა. ეს მოვლენა კრუკსმა ასე ახსნა: ელექტრიული დენა შეთხელებული ჰაერის ნაწილებს ერთს მხარეს რეკავს და მათ გზაზედ სიბნელე მოჩანსო: როდესაც კი ისინი შეხვდებიან ერთად შეჯგუფულს ჰაერის ნაწილებს, ჩერდებიან და სინათლეს ჰბადავენო.

თუ ეს ახსნა ჭკუასთან ახლოა, რაც უფრო მეტათ შეთხელდება ჰაერი, იმდენი უფრო უნდა გადიდდეს ბნელი ალაგი ელექტრიული დენის დროს, რადგან ჰაერის ნაწილები შეჯგუფულს ჰაერს ველარსად შეხვდებიან და თავისუფლად ივლიან მინის ჭურჭლის გვერდებამდისინ.

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს სწორეთ ესეა. რაც უფრო მეტათ შეათხელა კრუკსმა ჰაერი, იმდენი უფრო იმატა სიბნელემ, ასე რომ ბოლოს ნათელი შიგ ჭურჭელში აღარსად მოჩანდა. ჰაერის ნაწილებმა ისე ჩქარა დაიწყეს მოძრაობა და ისეთის ძალით ეჯახებოდნენ ჭურჭლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარიობს) და ისეთი თოვლი მოვიდა იმ საღამოთი, რომ თქვენი მოწონებული.

ამ საშინელებას გარდა გავრცელებული არის წითელა და ბევრი ბავშვიც იმსხვერპლა. თვით მაზრის უფროსიდამ მოვისმინეთ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში 19 ბავშვი იმსხვერპლა წითელამაო. მერე, ბატონო, აქ ისეთი ფარღალალა სახლები არის, რომ სარკმელებიც არა ჰქონდეს, ყოველს გამლელ-გამომლელს ჭუჭრუტანებიდამ დაინახავთ...

ნუხის სამოქალაქო სასწავლებელში ერთი კვირის განმავლობაში 32 შეგირდი გამხდარა ავათ; თუმცა მაზრის ექიმი უფ. სარაჯოვი, რომელიც ირიცხება ზემოხსენებულის სასწავლებლის ექიმად, დადის თურმე სახლებში და დარიგებებს აძლევს, მაგრამ მისი დარიგება და თუნდ შემწეობაც რაში გამოადგება იმ ავათმყოფებს, რომელნიც წვანან იმისთანა სახლებში, სადაც წყალი იყინება ლიტრაში, და წითელ თ ავათ-მყოფს კი სითბოს მეტი თითქმის არა უნდარა, როგორც გამოცდილობით ვიცით.

ერთის სიტყვით, საზოგადოთ ნუხელები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. რომელს ერთს გაუძლოთ: შიმშილს, სიცივეს, თუ ამ წვრილფეხობის ავათ-მყოფობას?! თუ წელს როგორმე გადავრჩით, მერე კი ფიქრი აღარ გვექმნება.

ეჰ! ვაი ამისთანა გადარჩომასაც! საწყალი კაცის გადარჩომა ან რა სანატრელია! თუ გადარჩა, ვაი მათ გადარჩომასაც: ისე გაროზგავს ეს სიძვირე, რომ ათსა და ხუთმეტ წელიწადს ვეღარ გასწორდნენ...

არ უნდა იყოს აქ ამისთანა სიძვირე, მაგრამ ვინ არის პატრონი. ჩვენ ნუხში და განსაკუთრებით ნუხის უეზდში იმოდენა პური არის შენახული ორმოებში და სარდაფებში, რომ ორ წელიწადს კიდევ რომ არ მოვიდეს მოსავალი, ეყოფათ ხალხს. თვით ნუხში არიან იმისთანა პირნი, რომელთაც ათი ათასი ჩანახობით და თალრობითაც (თალარს 19 ფუთ ნახევარი აქვს) აქვსთ შენახული ხორბალი და ბრინჯი. ჩვენდა სამწუხაროთ, ერთი იმისთანა ფხილელი კაცი არა გვყავს, რომელიც საზოგადო სარგებლობისთვის ზრუნავდეს.

ვისაცა სთბილა, ჭამისა და ძილის მეტს არას აკეთებს. მართალია, გაზეთებში ბევრს რასმე სწერენ, მაგრამ ყველა დასაჯერი არ არის: ამისთა შიმშილში მეც რომ დამპატიჯონ ხოლმე, ასე შევაქეფ, ასე გავამამაცებ კაცს, თუ სინიდისმა ნება მომცა, რომ თუნდ კამეჩზედ უზარმაცესი იყოს შავარდენზედ უმარდესი გავხადო.

ი. ნ.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** პარიჟიდამ იწერებიან, რომ აქ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ იმას, რომ გერმანიის მემკვიდრე პრინცი აპირებს იტალიაში წასვლას. იმის იქ წასვლის ჰაზრი ვითომც იმაში მდგომარეობს, რომ იტალიის კავშირი საფრანგეთთან გასწყვიტოსო და გერმანიას დაუახლოვოს იტალიაო.

—

ბერლინიდამ იწერებიან რუსულ გაზეთებში, რომ გერმანიის საკავშირო ბჭობამ მიიღო პროექტი, ჯარის გაძლიერების და სამხედრო ცვლილებების შესახებაო.

—

ვენიდამ მოსული ტელეგრამმა „მოსკოვის უწყებაში“ გვაცნობებს იმ ხმის შესახებ, რომ ვითომც გერმანიის მემკვიდრე პრინცი ცდილობს იტალია ავსტრო-გერმანიის კავშირთან შემოაერთოს: რომიდამ იწერებიან ამის თაობაზე, რომ არც იტალიის კოროლი და არც ახლანდელი სამინისტრო არ დათანხმდებიანო ამაზე, რადგან ეს კავშირი დაუშლის მას თავისუფლად მოქმედებას და იმ სიმდაბლემდინ მიიყვანს, რომ თავის სარგებლობის გულისთვის იტალიას კუდათ გაიხდის.

—

გაზეთი „ნიუ-იორც-ჰერალდი“ აცხადებს, რომ მართავს თავის გაზეთში ხელის-მოწერას გაჭირებულს ირლანდიელების სასარგებლოდ და ის თავის მხრით 100,000 დოლარს სწირავს ამ საგნისათვის.

—

„რეიტერის სააგენტოში“ იწერებიან ტელეგრამმას კალკუტიდამ 16 იანვარს, რომ ლუგუმანის ყველა უფროსებმა და გავლენიან პირმა გამოუცხადეს ინგლისს მორჩილება. სასულიერო პირმა მოსკი-ალიმმა, რომელიც ეხლა ღაზნაშია მახომედ-ჯანთან, გამოუცხადა ავღანელებს, რომ ისინი მოემზადონ ხელ-მეორეთ ინგლისელებთან საომრათ.

—

რომიდამ იწერებიან „ჰავასის სააგენტოში“, რომ, ვენის და რომის კაბინეტების შუამავლობის წყალობით, სტამბოლის და ცეტინიეს შუა გაიმართა მიწერ-მოწერა გუსსინიეს და პლავის შესახებ. ამ დღეებში მოელიან ვრცელ წინადადებას ოსმალეთიდამ და ძალიან იმედოვნებენ, რომ ერთმანერთში მიწების გაცვლით თანხმობა მოხდება ოსმალეთსა და ჩერნოგორიის შუა.

—

ინგლისურ გაზეთს „სტანდარში“ იწერებიან, რომ სულთანმა გასცა ბრძანება დაეთხოვნათ ყველა ინგლისელი მოსამსახურე პირები სამსახურიდამ. ზღვის მინისტრმა მისცა შენიშვნა ამის შესახებ, არ შეიძლებაო, რომ შეველიოთ ნასწავლ ინჟინერებს და მუშებს, რომლის უმრავლესობა სულ ინგლისელები არიანო. სულთანმა მოითხოვა ინგლისელ მოსამსახურე პირების სია და მომეტებული ნაწილი ამათში გაანთავისუფლა სამსახურიდამ.

—

ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ იწერებიან ვენიდამ, რომ მოლაპარაკება გერმანიას, საფრანგეთს და ინგლისს შუა რუმინიის განთავისუფლების შესახებ მალე გათავდებაო, თუმცა ეს სამი სახელმწიფო ეხლაც მზათ არიან აღიარონ რუმინიის თავისუფლება, მაგრამ მაინც იმათი ჰაზრით რუმინიის მმართებლობას ჯერ კიდევ არ აუსრულებია ვრცლათ ბერლინის ტრაქტატის დანიშნული ცვლილებები ებრაელების შესახებ.

# ნარევი

ჩინეთის იმპერატორის ცოლები. ეხლანდელი ჩინეთის იმპერატორი ჯერეთ ისეთი ყმაწვილია, რომ იმ ხნის კაცს სხვა ქვეყნებში ერთს ცოლსაც არ აღირსებენ და იმას კი თურმე სამოც-და-ათი ცოლი ჰყავს. ყოველი მათგანი ისეთს ძვირფასს ტანისამოსს იცვამს, რომ თითქმის ნახევარი შემოსავალი იმ სიდიდე სახელმწიფოსი იმათ უნდებათ. ერთს იმის ცოლს ამას წინეთ ერთი წამოსასხამი ჰქონია, რომელიც ისეთის დიდროვანის მარგალიტებით არის თურმე შემკული, რომ ფას-დაუდებელიაო. მხოლოდ ეს არის, რომ ეს ქალი ხნიერია და შემდეგ იმის სიკვდილისა წამოსასხამი უნდა დასწვან, თუ სიკვდილის დღესაც იმის სახელი ერქმის. ესეთი წესია ჩინეთში.

ჩინეთის იმპერატორი ცდილობს თურმე, ეს წამოსასხამი როგორმე გამოსტყუოს, მაგრამ ცოლი არ ანებებს.

***

გვერდებს, რომ მინის ჭურჭლის გვერდი განათდა იმ ალაგის პირ-და-პირ, სადაც ელექტრიული ძალა მოქმედებდა. კრუკსმა ამ ჭურჭელში ჩასდო ჯერ ალმასი, შემდეგ ლალის წვრილი თვლები. ჰაერის ზოგიერთი ნაწილები, ვიდრე ჭურჭლის გვერდებს მიეხლებოდნენ, უნდა ამ თვლებს შეხვედროდნენ და მართლაც იწყო თუ არა ელექტრიულმა ძალამ დენა, ამ თვლებმა ისეთი სინათლე გამოსცეს, რომ მაყურებლებს ალმასი ანთებული სანთელი ეგონათ და ლალის თვლები ნაკვერჩხლებს დაემზგავსნენ.

ჰაერის ნაწილები ამ გვარს შემთხვევაში ყოველთვის პირ-და-პირს გზაზედ მიდიან და როგორც ზემოთაცა ვსთქვი, მხოლოთ ის ჭურჭლის ნაწილი განათდება ხოლმე, რომელიც ელექტრიული მაშინიდამ გამოყვანილის მავთულის პირ-და-პირ არის. მხოლოთ თუ ამ ჰაერის ნაწილებს ანდამატი მიუახლოვეთ, მაშინ ისინი ანდამატისკენ მიიზიდებიან და იმ გვერდს გაანათებენ, საითაც ანდამატია.

თუ შეთხელებული ჰაერის ნაწილებს ესეთი დიდი ძალა აქვთ, უნდა ამ ძალის გამოჩენა სხვაფრივაც შეიძლოს. ამის დამტკიცებაც ადვილია, თუ კრუკსის მინის ჭურჭელში ორს პატარა მინის ჩხირს გავდებთ და მათზედ პატარა თვლის ღერძს მოვმართავთ ისე რომ ამ ღერძს თავისუფალი მოძრაობა შეეძლოს. ამ პატარა თვალს ფრთები უნდა გავუკეთოთ, ისე რომ ჰაერის ნაწილები ამ ფრთებს შეეჯახებოდნენ ხოლმე. დაიწყებს თუ არა ელექტრიული ძალა დენას, ჰაერის ნაწილები ამ ფრთებს შეეტაკებიან და ტრიალს დააწყებინებენ, მერე ისეთის ძალით, რომ შეუძლიანთ აღმართზედაც კი აიყვანონ.

ერთი გასაშტერებელი მოვლენა კიდევ აჩვენა კრუკსმა თავის მსმენელებს. ამ თვალსა და ელექტრიულს მავთულს შუა ფირფიტა ააფარა. ჰაერის ნაწილები ველარა ხვდებოდნენ ამ თვალის ფრთებსა და თვალი გაჩერებული იყო. მასუკან ანდამატით ჰაერის ნაწილებს სხვა გზა მისცა და ფრთებს დაუმარჯვა. თვალმა იწყო ტრიალი.

ყველამ იცის, რომ ორის საგნის ერთმანერთთან შეჯახების დროს სითბო ჩნდება. ნიშანში რომ ტყვია ხვდება, საშინლათა ცხელდება ხოლმე და ეს სითბო მით უმეტესია, რაც უფრო ტყვია ჩქარა მიდის.

ჩვენმა პაწია ჰაერის ნაწილებმაც უნდა დაჰბადონ სითბო, რადგან ისე ჩქარა მოძრაობენ ერთმანერთს ხშირათ ეჯახებიან. თუმცა ისინი ისე მცირენი არიან, რომ გონებაში მათი წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ მათი რიცხვი ისეთი ურდავი და აუარებელია, რომ ერთათ კარგა ძალი სითბო ჩნდება მათგან. თუ ჭურჭლის იმ ალაგს, სადაც ელექტრიული მავთულია გამართული, ჩავაღრმავებთ, მაშინ ჰაერის ნაწილები რამდენიმე წერტილიდან იწყებენ მოძრაობას და ცოტა მოძრაობით ერთმანერთს შეხვდებიან.

შეხვედრის ალაგს მათგან ისეთი სითბო წარმოსდგება, რომ რაც უნდა მაგარი ნივთი იყოს გაადნობს. საშინლათ ძნელია გადნობა ერთგვარი ძვირფასი მადნეულისა, რომელსაც პლატინას ეძახიან, მაგრამ თუ ეს მადნეული იმ ალაგს დავდეთ, სადაც ჰაერის ნაწილები ერთმანერთთან იყრიან თავსა, უეჭველათ გადნება და დნობის დროს ისეთს სინათლესა ჰბადავს, რომ კაცი თვალს ვერ გაუშტერებს.

ყოველი ეს მოვლენა და ბევრი კიდევ სხვა თვალ-წინ უჩვენა კრუკსმა პარიჟის განცვიფრებულს საზოგადოებას, რომელიც თუმცა იჭვნეულობდა კრუკსის თეორიის სინამდვილეზედ, მაგრამ ამისთანა თვალსაჩინო ფაქტების უარყოფა კი არ შეეძლო.

კრუკსმა ამ სიტყვებით დაასრულა თავისი ჩინებული ლექცია:

„ურწმუნონო რათ იჭვნეულობთ?
„ყოველი ეს მოვლენა იყო მუდამ,
„მაგრამ იყო უჩინარი: ის ვერ გამოა-
„ჩინა ვერც ერთმა განათლებულმა
„საუკუნემ. მომავალი უფრო საკვირ-
„ველს ამბებს გვიამბობს. რათა ჰგო-
„ნია უმეცარს, რომ ქვეყანაზედ იმის
„გარდა არა არის-რა, რასაც ის თვა-
„ლით ვერა ჰხედავს“.

მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცხვრის ძაღლების გამოზრდა.** ამერიკაში მეცხვარეები ასე თურმე ზრდიან თავიანთ ცხვრის ძაღლებს: პატარა ლეკვს ჯერეთ ბრმას აშორებენ დედას და მიუსმენ დედა-ცხვარს. ცხვარი ჯერ თუმცა ჯიუტობს, მაგრამ თან-და-თან ეჩვევა და იწყებს თავის მუმუთი ლეკვის გამოზრდას. ლეკვს ცხვარი თავისი დედა ჰგონია და ისე ეჩვევა, რომ შემდეგ ფარას აღარა შორდება და არც უცხო კაცს, მგელს, ან სხვა ნადირს ახლო აკარებს.

* * *

**ხუთის წლის ბავშვის ვონიერება.** ვენგრიაში ერთს მკერვალს ხუთის წლის ვაჟი თურმე ჰყავს, სახელათ მორიც ფრანკლი, რომელმაც ჯერ თუმცა არც წერა იცის, არც კითხვა, მაგრამ გასაშტერებელათ ანგარიშობს.

იმას შეუძლიან თურმე ერთბაშათ ამგვარის ამოცანების ახსნა, მაგ. რამდენი წამია 43 წელიწადში? 23 მარტს თორმეტს საათზედ რომ ზარბაზანი გავისროლოთ, რამდენს მილს გაივლის ზარბაზნის ტყვია 18 დეკემბრის 12 საათამდე, თუ ყოველს საათს 7 მილს მიდის. ამ მოზრდილი კაცებისათვისაც კი საძნელო ამოცანას გამოანგარიშება მორიც ფრანკლი ზეპირათ ერთბაშათა ხსნის. ის ახლა თურმე სხვადა-სხვა ქალაქებში დაჰყავთ და ყველას აოცებს იმისი ანგარიშის დაუჯერებელი ნიჭი.

* * *

**მეხსიერება ვის უფრო ძლიერი აქვს?** ყველამ იცის რომ ბავშვს უფრო კარგი მეხსიერება აქვს, ვიდრე ხნიერს. 14—15 წლამდე მეხსიერება მატულობს, მასუკან კლებულობს. კაცის დაბალს რასებს: ზანგებს, ჩინელებს უკეთესი მეხსიერება აქვთ, ვიდრე მაღალს ხარისხზედ მდგარს ევროპიელებს.

უწინ, ვიდრე წერა-კითხვას შემოიღებდენ, ხალხს უფრო კარგი მეხსიერება ჰქონდა; მთელი პოემების ზეპირათ გარდაცემა შეეძლო. ეხლაც უკეთესი მეხსიერება წერა-კითხვის უცოდინარებსა აქვთ. სოფლელებს უფრო კარგი მეხსიერება აქვთ ქალაქელებზედ. მეხსიერება ნიჭიერებაზედ არ არის დამოკიდებული. კარგი მეხსიერების პატრონი შაგირდები ყოველთვის სხვებზედ ნიჭიერები არ არიან. ქალს უკეთესი ნიჭი აქვს მეხსიერებისა, ვინემ კაცს. დილით მეხსიერება უფრო ძლიერია, ვიდრე საღამოზედ; ზაფხულში უფრო ძლიერია, ვიდრე ზამთარში; სითბოში უფრო ძლიერია, ვიდრე სიცივეში.

---

# განცხადებანი

 იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
**უმანკო პატარძალი**
ალ. თუთაევის ერთ-მოქმედებიანი კომედია.

კავკასიის სამხედრო მაზრის **ინტენდანტის გამგეობა** აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 6 მარტს ახალციხის უეზდის პოლიციის უპრავლენიეში დანიშნულია ვაჭრობა ახალციხის სახორაგო მაღაზიისათვის ხორბლის დაფქვაზედ.

სულ მაღაზიას დასჭირდება წელიწადში 10,276 ჩეთვერის ხორბლის დაფქვა. იჯარის ვადა ორი წელიწადია. წისქვილზე წაღება ხორბლისა და მაღაზიაში დაფქვილის მოტანა მეიჯარადრემ უნდა იკისროს.

დაწვრილებით პირობის (კანდიციის) შეტყობა მსურველს შეუძლიან მუდამ დღე ახალციხის უეზდის უპრავლენიაში და აგრეთვე თფილისში საინტენდანტო გამგეობაში.

(3—1)

---

**კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზი** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 1880 წლის თებერვლის 18-ს პრიკაზში იქნება ვაჭრობა ქვემო მოყვანილ პირთა უძრავს მამულების გასყიდვაზედ, რადგან ამათ თავის დროზე ვერ შემოიტანეს თავიანთ სახლების გირაოთ პრიკაზიდამ აღებულის ვალის თავნი და სარგებელი:

1). კ-ნ ანა მანასის ასულის არღუთინსკი-დოლგორუკის სახლი, თფ. 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში- 1870 7, 500 მან.

2). თფ. მოქალაქის არტემ მესროფოვისა სახლი. თფ., 1 განყოფ. 4 უჩასტ. ორბელიანის ქუჩაზე. 1871 წ. 1,910 მან.

3). თფ. მოქალაქის ბაბაავდიშევის თფ. 2 განყოფ. 13 უჩასტკაში, ავლაბარში. 1876 წ. 1, 300 მან.

4) თფ. მოქალაქის ზაქარია როსტომოვის სახლი, 1 განყ. 5 უჩასტ. ნემეცების ქუჩაზე, 1877 წ. 14, 700 მან.

5) გადამდგარ უნტერ—აფიცრის პეტრე იაკუშევსკის სახლი. 16 უჩასტკაში, ნავთლუღში. 1873 წ. 400 მან.

6) სერგეი ნიკიფოროვის სახლი. 1 განყოფ. 1 უჩასტკაში. 1872 წ. 1000 მან. და

7) თფ. მოქალაქეთ არტემ და სალომე მამულოვების სახლები, თფ. 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, № 400, 401 და 402 დაგირავ. 1878 წ. 550 მან.

ვისაც ამ სახლების ყიდვა ჰსურს, დაფასებით სიების ნახვა შეუძლიან პრიკაზში მუდამ დღე დილაობით.

(3—1)

---

**კავკასიის სამხედრო მაზრის ინტენდანტის გამგეობა** აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 6 მარტს ბაქოს სახაზინო პალატაში დანიშნულია ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ ბაქოს სახორაგო მაღაზიისათვის წელიწადში 100 ჩეთვერის ხორბლისა- მეიჯარადრემ თვითონ უნდა წაიღოს ხორბალი წისქვილზე და მაღაზიაშიაც თვითონ უნდა მოიტანოს დაფქვილი.

დაწვრილებით პირობის შეტყობა საინტენდანტო გამგეობაში შეიძლება მუდამ დღე დილის 9 საათიდამ შუადღემდინ.

(3—1)

---

**„საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“** სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომელთაც საწევრო ფული არ შემოუტანიათ, ჩააბარონ ეს ფული ამ საზოგადოების ხაზინადარს ი. გ. მაჩაბელს, რომლის ნახვაც შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმ დღეებისა, თფილისის სააღგილ-მამულო ბანკში თერთმეტი საათიდან პირველს საათამდე.

(5—2)

---

**გრ. ჩარკვიანის**
ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

**„მოდი და ენდეთ ქალსა!“**
ვოდევილი ერთ მოქმედებად მ. ჯორჯაძისა
თფილ. 1880 წელს. ფასი 20 კაპ.

—

**„ქვრივის ლიმონები“**
მოთხრ. გრ. რჩეულოვისა
გამოც. დავ. ბერიძისაგან
თფილ., 1880 წელს. ფასი 10 კაპ.

—

**„სარიდონიანი“**
პოემა, გამოც. ქ. ჩარექოვისაგან
თფილ. ფასი 30 კაპ.

—

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა:
საქართველოს მეფე
**„ბაგრატ მეოთხე“**
თხზ. დიმ. ბაქრაძისა

—

**„სისხლის ძიება“**
პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან
ალ. დეკანოზოვისა

---

**სავაჭრო სახლი**
**„კნიაზ იოანე კონსტანტინიჩ ბაგრატიონ მუხრანსკი და კ-ო“**
ამით აცხადებს, რომელ შემოტანილს ფულზედ ამა რიცხვიდამ ვიდრე შეცვლამდის
**აძლევს სარგებელსა**
პირველსავე მოთხოვით—3%
ვადით
ექვსი თვით— — — —6%
ერთის წლით — — —7%
ორის წლით და მეტის —7½%
გარდა ამისა მეორე რაზრიადის საამხანაგო კვიტანციებზედ
ერთის წლით— —8% და მეტსაც.

(3—2)

---

**სავაჭრო სახლი**

# იაგ. კასუმოვი და კომპ.

სთხოვს ფაეტონების, დროჟკების, ფურგუნების, პოვოზკებისა და სხვ. პატრონებს მობძანდნენ ბილეთების ასაღებად 1880 წლისათვის კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირდა-პირ, თუმანიშვილის სახლებში.

(10—8)

---



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.
**ბალაგანში**
ცირკის გვერდით, ბუნიბის მაედანზე საზოგადოებას აჩვენებენ
**ჯერ აქ უნახავს მოვლენას:**
**ყველაზე უდიდესი ევროპაში**

# ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები
მარკიზი **გენრიხ ვოლგე**
და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

---

# თფ. ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ რუსის ბაზარში (იარმუკაზე) და ავლაბრის მოედანზე იმისაგან აშენებულია გასაქირავებელად **სადუქნე სახლები:** იარმუკაზე თვრამეტი ნომერი და ავლაბრის მოედანზე 40; ამის გამო გამგეობა გამოიწვევს მსურველებს, რომელთაც ამ სადუქნე სახლების დაქირავება უნდათ, მოვიდნენ გამგეობის კანცელარიაში, სადაც მუდამ დღე, კვირა-უქმ-დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, შეუძლიანთ შეიტყონ— თუ რა ფასად და რა პირობებით გირავდება ეს სადუქნე სახლები.

(3—2)

---

**ცალკე ნომრები**

# „დროებისა“

**ისყიდება:**

**თფილისში:** შავერდოვის საგენტოში (გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქაროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

**ქუთაისში** ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Февраля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.